Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტი

ვინ მიიღებს სარგებელს?

- მოქალაქეები, რომლებიც მაღალკვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას მიიღებენ;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია კარგად ორგანიზებული მართვის სტილის შედეგად;
- ადვოკატები, უნარების ზრდის შედეგად;
- საქართველოს მთავრობა, კანონმდებლობისა და რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შედეგად

პროექტის მიზნები

- ეროვნული კანონმდებლობისა და რეგულაციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის გაზრდა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველი ორგანოების შესაძლებლობების ზრდა;
- ადვოკატთა სამართლებრივი უნარების განვითარება

როგორ იქნება მიღწეული პროექტის მიზნები?

- ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკისა და სამართლებრივ სფეროში არსებული გამოცდილების გაზიარებით პროფესიული ეთიკისა და ადვოკატთა პროფესიული განვითარების სფეროში
- შესაძლებლობების განვითარებით მმართველობის უფრო ეფექტური მიდგომების დანერგვის გზით

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მანდატისა და საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოსა და რეგულაციების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება;
- სემინარები, ტრენინგები და სასწავლო ვიზიტი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს ადვოკატთა ასოციაციების მმართველობის თანამედროვე ტექნიკებისა და პროფესიული გამოცდის ჩაბარების შემდგომი სტაჟირების სფეროში არსებული გამოცდილების გაცნობის მიზნით;
- შესაძლებლობების გაძლიერებაზე მიმართულ რეკომენდაციებში ისეთი საკვანძო საკითხების გათვალისწინება, როგორიცაა გენდერული და უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული საკითხები

http://eap-pcf-eu.coe.int

Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტი

რა თანხებია გამოყოფილი პროექტის განსახორციელებად?

- პროექტის საერთო ბიუჯეტი 400.000 ევროს შეადგენს.

ვინ არის პასუხისმგებელი პროექტის განხორციელებაზე?

პროექტს ახორციელებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის მართლმსაჯულებისა და სამართლის სფეროში თანამშრომლობის დეპარტამენტის სამართლის სფეროში თანამშრომლობის განყოფილება.

ევროპის საბჭოს საქართველოს წარმომადგენლობა აქტიურად არის ჩართული პროექტში და მხარს უჭერს მის განხორციელებას.

უფრო დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ:

- ოქსანა გუტუ, პროექტის კოორდინატორი oxana.gutu@coe.int

2014 წლის აპრილში ევროკავშირი და ევროპის საბჭო შეთანხმდნენ პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში (PCF) განეხორციელებინათ მიზნობრივი თანამშრომლობის ღონისძიებები ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, კერძოდ კი სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდავეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში.

ზემოთხსენებული თანამშრომლობის ღონისძიებები მიმართულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების შესაძლებლობების განვითარებაზე და რეფორმების მხარდაჭერაზე. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული ქვეყნები, გარდა ბელორუსიისა, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები არიან და ამ ქვეყნებში დასახული რეფორმების გატარება ხელს შეუწყობს მათ დაახლოებას ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებთან.

http://eap-pcf-eu.coe.int

Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded
by the European Union
and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented
by the Council of Europe

ინფორმაცია პრესისთვის

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერის პროექტი

პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს (PCF) 2015-2017 წლებისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი 33,8 მილიონ ევროს შეადგენს.

http://eap-pcf-eu.coe.int